

თამარ გოგოლაძე

**ბ. საბაგლიშვილი-ივერიელის წერილი ქრისტეს
ჯვრის ლურსმნისა და წმინდა ნაწილების
თავგადასახვევზე**

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებას თან მოჰყვა მაცხოვრის, ღვთისმშობლის რეალიების, წმინდანთა ნაწილების შემოტანა-დამკვიდრება. IV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოში იხანებოდა: “ქრისტეს კვართი, მაცხოვრის თმები და წვერი (ჯვარცმის დროინდელი), სამსჭვალნი ფეხისანი და ფეხთა ფიცარი ქრისტეს ჯვრისა, ძელიცხოვლის ნაწილი, მაცხოვრის ხის თევში, საიდუმლო სერობიდან... მაცხოვრის ეკლის გვირგვინის ნაწილი, ღვთისმშობლის კვართი” (გ. აფსანძე, ს. თეზელიშვილი, 2006 გვ. 256-257), 80-მდე წმინდა ნაწილი დატულია ოქონას ჯვარცმის (მეფეთა წინასასვენი ჯვარცმის) სანაწილეში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწორედ ქრისტეს ჯვრის ლურსმნების ისტორია საქართველოში. “ქრისტიანული” სიწმინდეების ისტორიაში ბევრია შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სიწმინდე რამდენიმე ქვეყანაში ფიქსირდება, ამიტომ მაცხოვრის ლურსმნების რაოდენობამ (სამსჭვალმა) რამდენიმე ათეულს გადააჭარბა” (გ. აფსანძე, ს. თეზელიშვილი, 2006 გვ. 261).

“ქართლის ცხოვრების” ცნობით, კონსტანტინე დიდს გაქრისტიანებული მირიან მეფისათვის გაუზღავნია “ნაწილი ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაემსჭვალნეს უფალსა, და სამსჭვალნი ხელთანი”.

აშკარაა, ჰემმარიტების დადგენა და საჭირო მასალის მოძიება აუცილებელი გამხდარა, განსაკუთრებით XIX საუკუნეში. ამ თვალსაზრისით ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ავტოკეფალიის აღდგენის დროისათვის პირველი კათალიკოს-პატრიარქი, წმინდანად შერაცხული კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), რომელიც ხშირად აქვეყნებს წერილებს ქართულ პრესაში, ინტერესდება ქრისტეს ჯვრის ლურსმნის ისტორიითაც. 1892 წელს გაზეთ “მწყემსის” №1, №3-4 ქვეყნდება მისი წერილი “მოთხრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მიქვდილი იყო ჯვარზე იესო ქრისტე” (ფსევდონიმით “გ. საძაგლოვ-ივერიელი”).

წერილი უნდა ემყარებოდეს “ქართლის ცხოვრებასა” და სხვადასხვა ბრძანებებს, გამოცემულს რუსეთის იმპერიაში (ე.წ. “უკაზებს”) XVIII საუკუნეში. ამდენად, იგი უფრო ახლოს უნდა იდგეს ქრისტეს ლურსმნის ჰემმარიტ ისტორიასთან.

წერილის შესავალში გ. საძაგლიშვილი იხსენებს იმ ფაქტს, რომ კონსტანტინე დიდს წმ. ლურსმნები და ჯვრის საფეხურები გადაუცია ერთ-ერთი IV საუკუნეში აგებული ეკლესიისათვის. ასე ყოფილა ისინი იქ ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის დრომდე (529 წლამდე). ამ უკანასკნელს უნებებია, საქართველოში ლაშქრობის დროს უკან დაებრუნებინა ისინი და როდესაც ტფილისი დაიკავა, მოკლეს სტეფანოზი და საქართველოში მამასახლისად დანიშნეს ადარნასე, ბიზანტიის

იმპერატორ ირაკლის საქართველოდან წაუღია სასწაულმოქმედი ხატები, წმ. ნაწილები და წმ. ლურსმნები. გავიდა დრო და უკვე XI საუკუნეში, ბაგრატ IV-მ (1028-1072 წწ.) ცოლად შეირთო საბერძნეთის იმპერატორის რომან არაგორის ძმისწული ელენე და სხვადასხვა ძვირფას ნივთთა შორის მიიღო: “წმინდა ნაწილები, სასწაულმოქმედნი ხატები და ერთი იმ ლურსმანთაგანი, რომლითაც მიმსჭვალული იყო მაცხოვარი ჯვარზე” (საძაგლოვ-ივერიელი, 1892, გვ. 14). ეს წმინდა ლურსმანი მეფე ბაგრატს დაუსვენებია ქუთაისში, საკათედრო სობოროში. “ამ წმ. ლურსმანს დიდ პატივს სცემდნენ საქართველოს მეფეები და ერი. მეფე დავითს (1243-1293 წწ.) წმ. ლურსმნისათვის გაუკეთებია ძვირფასი გვირგვინი, რომელშიც იგი ინახებოდა არჩილ მეფის დრომდე (1664-1706 წწ.). როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, არჩილი რამდენჯერმე ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე და რამდენჯერმე ჩამოადგეს. 1686 წელს, ქუთაისიდან წასვლის წინ, მას თან წაუღია ლურსმანი, მაგრამ აქ ხდება საოცარი ამბავი. უცნობია, საიდან აქვს ინფორმაცია გ. საძაგლიშვილს ამის შესახებ, მაგრამ მიტროპოლიტი იმერეთისა დავითი დაეწია თურმე მეფეს ქალაქის ციხის კარებთან და სთხოვა, “რომ ამ წმინდა ლურსმნისაგან ცოტაოდენი ნაწილი მაინც მოეტება და დაეტოვებინა სანახევროდ, რომ იგი დიდი ხანი ინახებოდა ბაგრატის ტაძარში. არჩილმა შეისმინა მოხუცებული მწყემსმთავრის ვედრება, აღასრულა მისი თხოვნა და მოსტება ამ წმ. ლურსმნის წვერი და დაუტოვა მას” (საძაგლოვ-ივერიელი, 1892, გვ. 22). ეს წმინდა ნაწილი მოთავსებული ყოფილა ვერცხლის პატარა კიდობანში და დაცული ქუთაისის საკრებულოს ტაძართან მიშენებულ ეკლესიის “ბაგრატის დიდებული ტაძრის შესავალთან”. აქ უნახავს იგი მურავიოვს 1848 წელს. ამ წლიდან თითქმის 40 წლის მანძილზე უცნობია ლურსმის ადგილსამყოფელი, თვით გიორგი საძაგლიშვილისთვისაც კი.

რაც შეეხება არჩილის მიერ წაღებულ ნაწილს, მის მეუღლეს, ეკატერინეს გაუგზავნია იგი ყაზანში ორი მღვდელ-მონაზონის პაგარატისა და არსენის ხელით და იქ ჩატარებულა წირვა 1716 წელს. ამ დროს მოსული “უკაზით”, იგი ყაზანის ღვთისმშობლის საკრებულოს ტაძარში უნდა ყოფილიყო დაბრძანებული, მაგრამ მოვიდა ახალი “უკაზი” და იგი მოსკოვის მიძინების ტაძარში დაუბრძანებიათ. აღნიშნული ლურსმანი მოთავსებულია ვერცხლის პატარა კიდობანში და ზედ ამწვენებს ქართული წარწერა.

გ. საძაგლიშვილის წერილში არაფერია ნათქვამი არც ქუთაისში დარჩენილ ნაწილზე და არც იმაზე, უნახავს თუ არა საკუთარი თვალით მოსკოვში დაბრძანებული ლურსმანი. აშკარაა, ავტორი მხოლოდ მოძიებულ მასალებს (იქნებ ლეგენდად ქცეულ მონათხრობსაც) და რეალურ ფაქტს ეყრდნობოდა; მაგრამ თავისთავად ამ ლურსმნის ისტორია საინტერესო და საყურადღებოა, საკვლევია ქართული სიწმინდეების ისტორიისა თუ, საერთოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში მივიწყებული ფაქტების აღსადგენად.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. აფსანძე, ს. თეზელიშვილი, 2006 - გ. აფსანძე, ს. თეზელიშვილი, ქართული სულიერების და სახელმწიფოებრიობის საფუძვლები, თბ., 2006.
საძაგლოვ-ივერიელი, 1892, გ. "მწყემსი", 1892, №1, 3, 4.

TAMAR GOGOLADZE

G. SADZAGLISHVILI-A LETTER OF IVERIELI ABOUT THE ADVENTURE OF THE NAIL FROM CHRIST'S CROSS AND THE SACRED PARTS

Establishing Christianity in Georgia was followed by bringing in and presenting the sacred objects of Our Savior's, the virgin's belongings and the parts of the saints but, unfortunately, the exact history and their present condition and the place they are kept is unknown. The ecclesiastic and public men of the 19th century were interested in these issues. A famous ecclesiastic figure Kirion II the catholicopatriarch, (Giorgi Sadzaglishvili-in secular life), later being canonized by the Georgian Church, often published letters in the press of that period about the history of the sacred things. He referred to "The Georgian Chronicles" and Greek-Russian documents as a main source. The present paper discusses the history of a nail from the Christ's Cross which was published in the newspaper "The Mtskemi" #3/4, 1892 under the title "A story about the nail with which Christ was nailed on the cross". The newspaper article informs that a remaining part of the nail whose other part had been taken to Russia by the King Archil was last seen in 1848 by Muralov in the Church of Assumption that stood by the Assembly Church of Kutaisi. Kirion II 's abovementioned article is of great importance even nowadays for the history of the sacred things of the Georgian Orthodox Church.